საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8137/01
02/08/2021

8137-01-2-202108021013

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“
მის: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N5
ელ.ფოსტა: info@water.gov.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 17 ივნისის წერილი, რომელიც ეხება ქ. წყალტუბოში წყალარინების სისტემის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროექტს. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- 4.4 ქვეთავში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიები არ გადის ზედაპირული წყლების სიახლოვეს და არც მოწყობის პროცესში არ არის გათვალისწინებული მათი საკანალიზაციო მილებით გადაკვეთა და შესაბამისად, ზედაპირული წყლის ობიექტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. თუმცა, ამავე ქვეთავის თანახმად, „სამშენებლო სამუშაოების პროცესში, საპროექტო არეალების მიმდებარედ არსებული ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მშენებელი კონტრაქტორის მიერ გარემოსდაცვითი მენეჯმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე, ასევე ნარჩენების მართვასა და ტექნიკის გამართულობაზე დაწესებული მონიტორინგის ხარისხზე“. აღნიშნული საკითხები ურთიერთგამომრიცხავია და საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტში განხილული და შეფასებული უნდა იყოს ზედაპირული წყლის ობიექტებზე ყველა შესაძლო ზემოქმედების საკითხი. ამასთან, საქმიანობის მასშტაბებისა და ხასიათიდან გამომდინარე, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესაფასებლად საჭიროა წარმოდგენილ იქნეს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტის განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელია ფუჭი ქანების წარმოქმნა, თუმცა დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მოხსნილი ფუჭი ქანების სავარაუდო მოცულობისა და განთავსების ადგილის შესახებ;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია პროექტის განხორციელების ეტაპზე განსაზღვრული სამუშაო საათების შესახებ;

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის განთავსების შესახებ, მათ შორის: სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმა; ბანაკის განთავსების ადგილის კოორდინატები და მისი ფართობი, აგრეთვე, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია მოხსნილი ნაყოფიერი ფენის მართვისა და დასაწყობების ადგილის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში განხილულია უახლოეს მოსახლეზე ხმაურით შესაძლო ზემოქმედების საკითხები, თუმცა, დოკუმენტში დაზუსტებული არ არის სამუშაოების განხორციელების ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი.
- სკრინინგის განცხადებას დართული საპროექტო საკანალიზაციო ქსელის გენ.გეგმა წარმოდგენილია დაბალი რეზოლუციით და არ არის გარჩევადი, შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული გენ.გეგმა წარმოდგენილი იყოს ცალკე დოკუმენტის სახით;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია არსებული გამწმენდი ნაგებობის, მისი წარმადობისა და გაწმენდის ეფექტიანობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს არსებული საკანალიზაციო ქსელის სიგრძე, აგრეთვე, აღნიშნული პროექტის ფარგლებში არსებული სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საკითხები;
- სკრინინგის ანგარიშის თანახმად, *„ატმოსფერულ ჰაერში ხმაურის გავრცელებას და დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევას ადგილი ექნება მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე. მშენებლობის ხანგრძლივობა 1 წელია და შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი“.* აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესაბამის დასაბუთებას. ამასთან, დოკუმენტში სათანადოდ უნდა იყოს განხილული პროექტის განხორციელების ეტაპზე გარემოს დაბინძურებასა და ხმაურთან დაკავშირებული საკითხები;
- სკრინინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის ეტაპზე გამოყენებული ინერტული მასალების მოცულობა და მათ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები;
- წარმოდგენილ დოკუმენტში განხილული არ არის გამწმენდ ნაგებობაში გაწმენდილი წყლის შემდგომი მართვის საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული, სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე